სახალხო გაზეთი

№ 134 კვირა, 17 ოქტომბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 134

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე მეტეტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამკლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ სულ 4 სააბონ. დღეს 3 მ., 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტლ და ამხ-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოსკოვაია 11, ვარშავაში—პარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი

წელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

წელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე-წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავენ, ინახავენ ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 [illegible] ნამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 [illegible]

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большая Ванкская, ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ალექსი, ამბაკო, ბეგლარი და **რებეკა მიხეილის ძენი გიგიეიშვილისა, ელპიდი, თეო** და **ივდითი ქართველიშვილები** და **ერმალოზ ბესარიონის ძე გიგიეიშვილი,** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას, პირველნი ორნი—უძვირფასეს მამისას, ხოლო უკანასკნელნი—ძვირფას სიმამრისას

მიხეილ ივანეს ძე ქართველიშვილისას,

რომლის დაკრძალვის დღე არის დანიშნული 19 ოქტომბერს, ნაშუადღ. 2 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე, სალამოს 4 საათზე. თავის საკუთარ სახლში, სამტრედიაში. (1—153—1)

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 11.
კვირას, 17 ოქტომბერს, 1910 წ.
ქართული დრამატიული დასის მიერ **ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:
I
კრეჩენსკის ქორწინება
გადმოდია 3 მოქმედებად სუზოვ კოტლინისა, თარგმ. ა. ს. ფულაძისა.
რეჟისორი ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი.
II
ნაპოლეონის სიკვდილი
პიესა ერთ მოქმედებად, თარგ. გრ. აბაკელიანი. რეჟისორი კ. ს. მესხი.
მონაწილ. მიიღებენ: ქ-ნნი: შოთაძე, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, არადელი გ., გვარაძე, ყიკიძე, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, მამფორია ი., მალიგამვილი.
წარმოდგენის დასაწყისი სალამოს 8 საათზე.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგ.—სა.

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსარჩულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.
ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.
ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. ვ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ა. ბოლტანი—ყო.. ..ურ., ..ბილ. და ყოველ დღე 12—1 ს.
ტერ-ნიკოლოსოვი ფ. ვ.—შინაგ. და [illegible] 465

რ. ა. პოლტუგალოვისა
ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან
დიდ ქალი
ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები,
იუბკები, ზედა და ქვედა ხალათები
ბაცვების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა წამოსასხამები და ბავშვების პალტო და კოსტიუმები, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.
ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ზიდზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—15)

კვირას, 17 ოქტომბერს, დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს
გაიმართება 9 საინტერესო კავკასიური

ჯიდაობა
წმიდა ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ
იჭიდავებენ: რომელთაც ამ კვირია უნდა ეჭიდავნათ, ნიკოლა დაბდიმვილი და თედო ლილოელი. ლილოელის ავადმყოფობის გამო გადაიდო მომავალ კვირისათვის. 1. მიხაკა ქურხული და კოტე ცალქალამანიძე, ცალქალამანიძის გამოთხოვნით. 2. გიორგი ჯიბგირი და შაშუა ვერელი, შაშუა ვერელის გამოთხოვნით. 3. თედო კაკაშვილი და არჩილა კაიხარამვილი. 4. გიორგა დოთიაშვილი (გოგრელი) და გიგო გარეგარელი. 5. ვახო კოშკელაშვილი (ნავთლუღელი), და ვერელი ჯაფარა). 6. ალექსანდრე ნაჩალოგველი და ვახო გოდერძიშვილი. 7. ირაკლი კაზელი და ვანო გერმანოზაშვილი. 8. ვაზტანგა ცხინვალელი და მალაქია ხიდნადელი 9. ილია მთიული და იაგორა ფხიაშვილი.
გარდა ამისა იჭიდავებს ჭიდაობის მოყვარულნი.
ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი
დასაწყისი სადაზის 5 საათზე. ადმინისტრაცია.
(2—151—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება
მოწყობილია 50 საწოლით.
განსაკუთრებითი საშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტიცელის“ სასტუმროსთან.
ტელეფონი № 590.
სტაციონარულ ავადმყოფთა მიიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.
საამბულატორო ავადმყოფს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:
ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და [illegible]შვ. ყოველ დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.
ბედგანიშვილი მ. ა. ნერ და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.
გურკა გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.
კარშინა ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
ბანდვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარას. 1—2 ს.
მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
ფირსოფოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
ბაბოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოველ დღე 2—2-ნახ. ს.
ხოსიფლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიური. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორი. რომელსაც გაიგებს ექიმი ე. ვ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაციები, კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. **სადასურით.** (200—ნ.—302)

„სახალხო გაზეთის“ კანტორა
აცხადებს, რომ 1 ღვინობისთვიდან მოესპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც წლის ბოლომდის არ ჰქონდა 8 მან. 50 კაპ. შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 1 ოქტომბრისთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.
მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ენკენისთვეს უნდა გადაეხადათ წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დაიჩქარონ და შემოიტანონ.
ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ: Тифлисъ, Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.
კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე“ ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დაიჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ.
„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

ფასები პარტიული და გადაყვეტილი
ამა წლის ოქტომბრიდან
გაიხსნა
საპარტიო საწყობის განყოფილება (გალანტერიის) საქონლისა
ე. ი. ჯავჯანიძე და ი. ი. გველესიანისა
გოლოვინის პროსპექტი, სახლი ფქოვეისა N 34, ცირკის გვერდით.
სადაც მოიპოვება ყოველთვის თეთრეული როგორც ქალისა და კაცისა, აგრეთვე ფუფაიკები ქალებისა და კაცებისა, შლიაპები კაცებისა და ყმაწვილებისა, ჩულქეულობა და ხელთათმანები, ქოლგები ქალისა, კაცისა და ყმაწვილებისა, ტროსტები, გალსტუხები, პარფიუმერი [illegible] საქონელი სხვა და სხვა ფირმების და აგრეთვე მრავალი ახალი [illegible] ფასის საქონელი.
ფასები
ფასები
პარტიული და გადაყვეტილი

სახალხო უნივერსიტეტი ძმ. ზუბალაშვილებისა.
კვირას 17 ოქტომბერს,
ნ. ე. ერმოლაევი წაიკითხავს ლექციას
პოლიტიკური ეკონომია.
ლექციის შემდეგ უფასო კონცერტი. მონაწილეობას მიიღებენ გენეროზოვა, სტოგინა, ჩასკაია, ჯაბაური, ლენსკი, დავიდოვი და სხვა.
დასაწყისი დილის 11 საათზე. ფასები 5 კ. დ. 10 კ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (2—უ.—2)

სახალხო სახლი ძმ. ზუბალაშვილებისა
კვირას, 17 ოქტომბერს სახალხო სახლიან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ **ბ-ნ გამყრელიძის** და **სვიმონიძის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება:
კრეჩენსკის ქორწინება
გადმოდ. 3 მოქმ. სუზოვო-კოტლინისა თარგ. ა. ფულაძისა.
მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ნეიფერიძე, ცომაკურიძე; ბ-ნნი ნაქრამე, გამყრელიძე, ბოგირიძე, ნარი, მალიგო და სხვანი.
დასაწყისი სალამოს 8 საათზედ.
გამგეობა სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. ბავშვების თეატრში შესვლა და ფარდის აწევის შემდეგ თეატრში შესვლა აღკრძალულია.
ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში დღეში 12-ნ 2-ის და 6-დან საღ. 8 ს.-დმ.
(2—2) რეჟისორი: კ. ზათირიშვილი.

ექიმი ზ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა ნეულებანი. სპეციალურად **კუბისა და ნაწლავებისა. მიიღება** დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (ბაზაგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ნალ.—56

ექიმი ა. ნ. დიასამ
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ბუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოხაგვის ქ. N 4. ნაბანაშვილისა (ფ)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხეილ გადევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გამინჯავ. და გადადება რენტგენის სხივებით.
ვერა, ყორდანოვის ქ. 20 (0—ნ.—63)

ექიმი კბილიანი ნინო რცხილაძე
იზმაილოვზე N 2. **გადავიდა** ვის ქუჩ. **იღებ**
ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს **შინაგან და ბავშვთა** ნეულებანი ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 5½—6½ საათამდის. გაბეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ე. ი. მინასიანცი
სწამლოს შინაგან, საბავშვო და კეჩის ავადმყოფებს; პროფესორ Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. მიიღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათზე, საღამოთი 5—7 საათ. ელისაბედის ქუჩა N 39. (100—1)

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 **საათამდე და** საღამოს 6—8 **საათამდე.** ბაგინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—12)

კლასები
ფორტეპიანოსი
იოსებ ბიორგის ძე
ტერ-დავიდოვისა
ტფილისი, ელისაბედის ქ. № 40.
(20—ნ.—16)

გამოვიდა და ისყიდება ყველა
წიგნის მაღაზიებში

ბაღი ყვავილისა
გამოცემა
მიხეილ ნემსაძისა
ფასი 10 კაპეიკი.
ადრესი:
ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა.
ტელეფ. № 372.

ეკონომი
ეკონომი

ეკონომი
ეკონომი

ეკონომი ვ. ვაშაკიძე
იღებს მინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., ს. ღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—238)

ტფილისი, 17 ოქტომბერი

შეჩერება საერობო დაწესებულებათა შემოღებისა.

ამას წინად აღვნიშნეთ, რომ კავკასიაში მცხოვრები ერები მოუთმენლად ელიან საერობო დაწესებულებათა შემოღებას, რადგან დარწმუნებულ არიან, რომ უამისოდ მთავრობა ვერც ერთ სერიოზულ რეფორმას ვერ განახორციელებს. რაკი ერობა ჯერ ისევ 1905 წლიდან აღთქმული აქვს კავკასიას, ჩვენ წინანდელ წერილში მხოლოდ ვკვირობდით, როგორ ვერ მოახერხეს, საერობო დაწესებულებათა დებულება შეედგინათ მთელის ხუთის წლის განმავლობაშიო.

ეხლა გადაჭრით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ არა თუ ახლო-მომავალში პროექტის შედგენაზე არავინ ფიქრობს, არამედ დიდის ხნით გადადებულია თვით ერობის საკითხიც. ახალი უქვეშევრდომილესი მოხსენება კავკასიის რეგიონალის გამგისა, ამ აზრს ყოველ ექვს გარეშე აყენებს. „დროთა ვითარება და მდგომარეობა მაიძულებდა, ვკითხულობთ 1910 წლის მოხსენებაში, მძიმე-მძიმეობით დამემუშავებინა განზრახული რეფორმები ადგილობრივ და არ ამეჩქარებინა ამ რეფორმების გატარება ჩვენს ახალგაზრდა საკანონმდებლო დაწესებულებებში, რადგან იგინი სახელმწიფოსათვის უპირველეს მნიშვნელოვანების საკითხებში არიან გართული და ჯერ საბოლოოდ არ გაურკვევიათ აზრი სახელმწიფო ცხოვრების ისეთ საკითხებზე, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ კავკასიის მოწყობისათვისაო. მაგალითისათვის ნებას ვაძლევ ჩემს თავს, დავასახელო საერობო რეფორმა: ამ რეფორმის ნაყოფიერებისათვის ყოველის უწინარეს საჭიროა, გამოირკვეს განსაზღვრული პროტოტიპი, რომელიც შესაძლებელი იქნებოდა შეგვეგებინა კავკასიისათვის ცოტა ოდენ, შეიძლება სხვა და სხვა ადგილისათვის სხ. და სხვა გვარის ცვლილებით, თანახმად ადგილობრივ პირობებისაო“. (გვ. 1).

ამ გვარად, საერობო რეფორმის საქმეში ხელ ახლად ძველი ისტორია იწყება. 1905 წლამდე ერობას არ გვაძლევდნენ პოლიტიკურ მოსაზრებების მიზეზებით, შემდეგ, როცა პრინციპიალურად ერობის შემოღება გადწყდა, საქმის მსვლელობა ჩაერდება, ან იმიტომ, რომ საერობო დებულების პროექტი არ არის შედგენილი და ან იმიტომ, რომ ვერ მოუხერხებიათ იმისი შედგენა. მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საერობო რეფორმის შესახებ ეხლანდელი და 1907 წლის უქვეშევრდომილესი მოხსენება ნამესტნიკისა მეტად შორი შორს არიან ერთმანეთისაგან. 1907 წელს კავკასიის ნამესტნიკი თვალნათლივ ამტკიცებდა, აუცილებლივ საჭირია, დაუყოვნებლივ შემოღებულ იქმნას ერობა; ეხლა კი ნამესტნიკი საჭიროდ სცნობს, შეაჩეროს ერობის შემოღება იმ მოსაზრებით, რომ პროტიტიპი არ არის შემუშავებული და სასურველად არ მიაჩნია, დასაქმოს ახალგაზრდა საკანონმდებლო დაწესებულებები, რომელნიც უპირველეს მნიშვნელოვანების საკითხებში არიან გართულნი და ჯერ იმდენი ვერ მოუცლიათ, რომ გარკვეული აზრი შეადგინონ საერობო და სხვა რეფორმებზე კავკასიისთვის. სულ სხვა ფიქრით, სულ სხვა განწყობილებით იყო გამსჭვალული 1907 წლის უქვეშევრდომილესი ანგარიში. აი როგორ იყო დასაბუთებული მაშინ ერობის აუცილებლობა: „კავკასიის მართვა-გამგეობა მომავალში საზოგადოებრივ ძალთა დაუხმარებლივ შეუძლებელია. მხოლოდ ერობის შემოღების მეშვეობ შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ ჯეროვან გზაზე დადგება სახალხო განათლება, აგრონომიული დახმარება, სახალხო ჯანმთელობის დაცვა“ და სხვა. საყურადღებოა აგრედვე, თქვამდა არა მარტო pia desideria-ს არამედ პირდაპირ და კონკრეტულად აღნიშნავდა საერობო რეფორმის განსაზღვრულს გეგმას. კავკასიის ეკონომიური, ეთნოგრაფიული და ტოპოგრაფიული პირობები გვაფიქრებინებენ, რომ მცირე საერობო ერთეული იმპერიის არც ერთ სხვა ნაწილისთვის ისე ზედგამოჭრილი არ არის, როგორც ამ ქვეყნისთვისო“. 1907 წელს ნამესტნიკი შეურყეველ საბუთებით ამტკიცებდა, რომ საჭიროა მოისპოს საერობო დარაჯთა ინსტიტუტი და იმისი ხარჯი, 2 მილიონი 500 ათასი მანათი ყოველ წლივ, გადატანილ იქმნეს საერობო ბიუჯეტში; აგგენდა გეგმას და სქემას საერობო ერთეულებისას, აღიარებდა საერობო დაწესებულებათა წესიერ მოქმედების ძირითად პრინციპად დამოუკიდებლობას და საერთოდ საერობო რეფორმას პირველ რიგზე აყენებდა...

მას შემდეგ სამმა წელიწადმა გაიარა, და ეხლა, 1910 წელს, წამოყენებულია უკვე სულ სხვა ლოზუნგი: აუჩქარებლობა! ასეთი ძირითადი შეცვლა შეხედულებისა საერობო რეფორმის შესახებ მეტად უცნაური საქმეა, მაგრამ უფრო მეტად უცნაური და გაუგებარია მოტივები „შეხედულების შეცვლისა. საერობო რეფორმის ნაყოფიერებისთვისო, ამბობს 1910 წლის მოხსენება, საჭიროა შემუშავებული პროტოტიპი, რომელიც შეეგუება ადგილობრივ პირობებს. ჩვენის აზრით, თუ გული გულობს, ქადა ცალი ხელით იქმება. პროტოტიპად თამამად შეუძლიანთ გამოიყენონ 1864 წლის დებულებაც და ის კონკრეტული ერობაც, რომელსაც რუსეთის შიდა გუბერნიებში ნაყოფიერი ნახევარ საუკუნის ისტორია აქვს. ესეც რო არ იყოს, ერობის მთავარი ძარღვი, იმისი არსებითი მხარე არც რაიმე სქემაა, და არც რაიმე ფორმა, არამედ ის შინაარსი, რომელითაც თვით ცხოვრების აუცილებლობა აავსებს საერობო ორგანიზაციის ამა თუ იმ სქემას, ამა თუ იმ ფორმას. აუცილებელი პირობა, რა თქმა უნდა. ერთის მხრივ საბიუჯეტო დამოუკიდებულობაა და მეორეს მხრივ თავისუფლება საერობო მოქმედების განსავითარებლად. ამიტომ, რეალურ პოლიტიკის თვალსაზრისით, არავითარი დაბრკოლება არ უნდა უშლიდეს ხელს კავკასიაში ისეთ საერობო თვითმმართველობის შემოღებას მაინც, რომელიც ეხლა ჰმოქმედობს ცენტრალურ რუსეთში.

ამ გვარად, ყველასათის ცალი უნდა იყოს, რომ ერობის პროტოტიპის

პოვნა მეტად ადვილი საქმეა, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ უკანასკნელ 5—6 წლის განმავლობაში ამ საკითხის შესახებ ადგილობრივ მოღვაწეთაგან გაწეულ შრომას. და თუ ახლო მომავალში ერობის შემოღებაზე მაინც უარს ამბობენ, ამისი მიზეზი უნდა იყოს არა პროტოტიპის უქონლობა, არამედ სხვა რამ მისწრაფება და მოსაზრება.

უფრო მეტად დაგვაღონა საერობო რეფორმის შეჩერების იმ მოტივმა, რომ ახალგაზრდა საკანონმდებლო დაწესებულებებმა, რომელნიც პირველ ხარისხოვან სახელმწიფო საქმეებში არიან გართულნი, ჯერ ვერ მოასწრეს გარკვეულ აზრის შედგენა სახელმწიფო ცხოვრების ისეთ საკითხებზე, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ კავკასიის მოწყობისთვისო. ძნელი წარმოსადგენია, რომ საკანონმდებლო დაწესებულებათა წევრებს, რომელნიც უმეტეს წილად საერობო მოღვაწენი არიან, გარკვეული აზრი არა ჰქონდეთ ერობის საჭიროებაზე კავკასიისთვის. უფრო ის არის საფიქრებელი, რომ ამ წევრებს, მიუხედავად სრულიად ნათელის აზრისა ერობის საჭიროებაზე, მაინც არა სწადიანთ ეს რეფორმა განხორციელდეს კავკასიაში.

ძალაუნებურად გვიელავს თავში აზრი, რომ 1910 წლის მოხსენება იმდენად რეალურ ცხოვრების საჭიროებათა შესწავლაზე დამყარებულ პროგრამას არ შეიცავს, რამდენადაც პეტერბურგში გაბატონებულ განწყობილებათა მიხვედრას და ამ განწყობილებებთან შეგუებას. საერობო რეფორმის შეჩერება, ჩვენის შეხედულებით, გამოწვეულია არა ადგილობრივ ხასიათის მიზეზებით, არამედ პეტერბურგის პოლიტიკურ კურსის გავლენით.

Ionnesco.

ქალაქის თვითმმართველობა და მშრომელი ხალხი.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს პრესაში ერთი აურ-ზაური გამოიწვია „ახალგაზრდა ბიბლიოთეკის“ შესახებ, რომ ტფილისის თვითმმართველობა სოლოლაკელების ხელშია, რომ აქ იგინი ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ და სხვ. სამწუხაროდ მე არ შემეძლო თვალი მედევნებინა გაზეთ „ახალი გზისთვის“ რომელიც „სახალხო გაზეთის“ იდეიურ მოწინააღმდეგედ გამოდიოდა, ამიტომაც ამ ორ გაზეთის მიერ ატეხილ დავას როდი შევეხები, არამედ ვეცდები ნათელვყო ის გარემოება თუ რა თვალსაჩინო როლს თამაშობენ ქალაქის თვითმართველობანი მშრომელი ხალხთა ცხოვრებაში; ვეცდები დავამტკიცო, რომ მშრომელი ხალხი უსიცოცხლოდ უნდა იყოს დაინტერესებული ქალაქის მეურნეობით. ცხადია, რაც უფრო მეტი წარმომადგენელი ეყოლება მშრომელ ხალხს საბჭოში, მით უფრო უკეთესია მისთვის, მით უფრო იქნება მისი ინტერესები დაცული. მშრომელმა ხალხმა კარგა ხანია, რაც ზურგი შეაქცია დღევანდელ „ქალაქის მამებს“, რომლისგანაც იგი არასფერს გამოელის. მშრომელი ხალხი სრულიად ჩამოშორებულია ქალაქის მართვა გამგეობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ყველგან უმეტესობას შეადგენს. მთელი ქალაქის სიმდიდრეს მუშაობს, სამაგიეროდ საშინელ ანტისანიტარულ პირობებში უხდება ცხოვრება და ხოლერის და სხვა გადამდებ სენის მსხვერპლად ხდება. ქალაქის საქმეებს მშრომელი ხალხი გულცივად ვერ შეხვდება, იგი ძლიერ ეხება მის შრომის და ცხოვრების პირობათა გაუმჯობესებას; ამ დარდში შესაძლოა ბრძოლა, შესაძლო თავის უბადრუკ ცხოვრების გამრავალფეროვნება. ამგვარ ბრძოლას მშრომელ ხალხისას თითქმის ყველგან ვამჩნევთ; მშრომელი ხალხის მესვეურთ თავის პროგრამებში შეაქვთ სხვა და სხვა მოთხოვნილებანი, რომელნიც პირდაპირ ეხებიან ქალაქის თვითმმართველების საკითხებს. განვითარება ვაჭრობისა და მრეწველობისა იწვევს ქალაქების ზრდას, სადაც თავს იყრის ხოლმე სოფელს მოშორებული აუარებელი მშრომელი ხალხი. დღევანდელ მპოლიტიკურ-ეკონომიურმა პირობებმა ბევრი სოფელი მოაშორა თავის კერას. ბევრი სოფელი, რომელიც ქალაქს მოეშურება [illegible] შათა რაზმს. თქმა არ უნდა, სოფლელ გლეხობის ერთი ნაწილის გაბოგანოება წვრილ და მსხვილ მეურნეობის ქიშპობა—დამარცხებით როდია გამოწვეული, არამედ დღევანდელ პოლიტიკურ-ეკონომიურ პირობებით. ათას გადასახადებით წელში მოხრილი გლეხობა, მოკლებული მიწას, სადაც მან მეურნეობა უნდა განავითაროს, იძულებულია მიმართოს ქალაქს და სამუშაო ქირის ძებნაში ამოხდეს სული. დიდი ხანი არ არის, რაც დასავლეთ საქართველოს გლეხობა ბათომისა და ფოთის შემყურე იყო; მათ უხდებოდა მთელი ზამთარი ბათუმის სხვა-და-სხვა ქარხნებში გაეტარებინა და მენახულ ფულით იგი ისევ უბრუნდებოდა თავის კერას და შეძლების აგვარად აუმჯობესებდა თავის მეურნეობას. მაგრამ დაიკეტა ბათომის ფაბრიკა-ქარხნები; მშრომელი ხალხი ფოთსა და ჭიათურას მიაწვა, მაგრამ ასეთმა სამრეწველო ცენტრებმა, როგორიცაა ფოთი და ჭიათურა, ვერ დააკმაყოფილა დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი. აუტანელმა პირობებმა და სამუშაო ქირის ძებნამ აიძულა დასავლეთი საქართველო თავის დედა ქალაქისათვის მიეშურებინა. ამ რიგად ტფილისი შეიქმნა იმგვარ სამრეწველო ცენტრად, სადაც როგორც აღმოსავლეთისა ისე დასავლეთ საქართველოს მშრომელმა ხალხმა მოიყარა თავი. დღეს დღეობით ხშირად შეხვდებით ტფილისში დასავლეთ საქართველოს შვილებს, რომელნიც ქალაქის განაპირა ადგილებს შეხიზნებია. ნაძალადევი ქართველ მშრომელ ხალხის უბანია. აუარებელ მშრომელი ხალხის ქალაქში თავის მოყრამ, ვაჭრობისა და მრეწველობის ზრდამ პირდაპირ დაგვიყენა საკითხი, თუ ვის ხელში უნდა იქმნეს ქალაქის მართვა-გამგეობა ან და როგორი დამოკიდებულება უნდა იქმნეს ქალაქის თვითმმართველობასა და მშრომელ ხალხს შორის, რომელიც ყველგან უმეტესობას შეადგენს? ყველაფერს რომ თავი გავანებოთ ქალაქის მეურნეობას აქვს მშრომელ ხალხისთვის ის მნიშვნელობა, რომ ქალაქის თვითმმართველობა ხშირად კისრულობს ხოლმე მწარმოებლის როლს და აქ თავის-თავად იბადება საკითხი მუშათა შრომის [illegible] ვრების პირობებზე. ქალაქის რკინის გზები, წყლის არხები, ელექტრონის სადგურები, საყასბოები და საავადმყოფოები, აი—ის საასპარეზო, რომელზედაც ქალაქის თვითმმართველობა ჰმოქმედებს. ყველა ზემოდ ჩამოთვლილ საქმეს ქალაქის საბჭო განაგებს, აქედან ცხადია თუ რას ნიშნავს მშრომელ ხალხისთვის თვითმმართველობის შედგენილობა. საბჭოს სრული დემოკრატიზაცია, აი—რა უნდა იქცეს მშრომელ ხალხის დევიზად. სანამ ქალაქის თვითმმართველობაში ბურჟუაზია არის გამეფებული, მანამ მისი ინტერესები ყოველთვის შელახული იქნება. მშრომელ ხალხის ბედი უფრო საფთხეშია, თუ ქალაქის თვითმმართველობა ერთის რომლისამე ერის აურჟუაზიის ხელშია. ამგვარი პირობები ფართე მასაში არევ-დარევას იწვევს, რის გამოც მათი კლასიერი თვითშეგნება ბნელდება. როგორც ზევით ვსთქვი ქალაქის თვითმმართველობა ბევრ ოპერაციას ეწევა და ამ დროს თუ იკი რომელისამე ეროვნების მშრომელ ხალხს აძლევს უპირატესობას, გლახა შედეგებს იწვევს მუშათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბურჟუაზიის ხრიკი დეზორგანიზაციას ახდენს მშრომელ მასაში, რაც მისთვის ხელსაყრელია. დემოკრატიის წარმომადგენლებმა ამ გარამოებას ანგარიში უნდა გაუწიონ თქმა არ უნდა მშრომელ ხალხისთვის სულ ერთია, თუ რომელი ერის ბურჟუაზია იქნება გამეფებული ქალაქის თვითმმართველობაში. ქართველ მშრომელ ხალხს ერთგვარად ყველფს როგორც სომეხი, ისე ქართველი ბურჟუაზია, მისთვის, როგორც ერთი, ისე მეორეც საზიზღარია. ხშირად იბრძვის ხოლმე ორის ერის ბურჟუაზია და მსხვერპლად კი მშრომელი ხალხი ეწირება, დაუსრულებელი შუღლი და ანტოგონიზმი ორის ხალხის ბურჟუაზიისა ეროვნულს ნიადაგზე დამღუპველია მშრომელ ხალხისათვის. ამ ბრძოლის დროს ხშირად ავიწყდება ხოლმე მშრომელ ხალხს თავისი კლასიური ინტერესები და ბურჟუაზიას უკავშირდება. გამარჯვებულ ერის ბურჟუაზია ხშირად სარგებლობს ხოლმე შოვინისტურ მოსაზრებით და თავის წარმოებაში იმ ერის მშრომელ ხალხს აძლევს უპირატესობას, რომელსაც თვითონ ეკუთვნის. და[illegible] ერის მშრომელი ხალხი-კი პირში ჩალა ამოვლებული რჩება. ეს გარემოება იწვევს საშინელს დეზორგანიზაციას მშრომელ მასაში და მათ გულში ჰბადებს შოვინისტურს, მხეცურს აზრებს. მხოლოდ რამოდენიმე ბედნიერი მუშა თუ გაუწევს ნამდვილს ანგარიშს ამ ფაქტს, თორემ უმეტესობა ბურჟუაზია გახვეული, რაც მის კლასიურს თვითშეგნებას აბნელებს. აქ უნებლიედ მახსენდება გაზ. „ახალი გზის“ შენიშვნა, რომელიც „სახალხო გაზეთში“ ამოვიკითხე: „ტფილისის თვითმმართველობაში“ უკეთესად არც თქვენ მოიქცეოდით, თქვენც შოვინიზმის დროშას ააფრიალებდითო“ — დაახლოვებით ასე უკიჟინებს „სახალხო გაზეთს“ „ახალი გზა“. თუ ამ შენიშვნის დროს „ახალ გზას“ ქართველი ბურჟუაზია ჰყავდა სახემი, მაშინ სწორია მისი დიაგნოზი, მაგრამ თუ ასეთ შოვინისტობას უკიჟინებს „სახალხო გაზეთის“ იდეიის გულმოწრფელ მატარებელი, მაშინ „ახალი გზა“ დიდ ცოდვას სჩადის დემოკრატიულ პრინციპების წინაშე. ჩვენს პროგრამაში სრულიად არ შედის სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებებში ქართველ ან რომლისამე ერის ბურჟუაზიის გამაგრება ჩვენი იდეალია სრული დემოკრატიზაცია ყველა საზოგადო დაწესებულებისა. ამას გვავალებს ჩვენის მშრომელ ხალხის როგორც ეკონომიური ისე ნაციონალური ინტერესები. საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა და ვინც რომელიმე საზოგადო საქმის გადწყვეტის დროს დემოკრატიულ პრინციპებს ულალატებს, იგი ჩვენი ერის მტერია,

კ. ჩხეიძე.

(შემდეგი იქნება).

სახელმწიფო სათათბირო

თავმჯდომარემ თავ. ვოლკონსკიმ სხდომა გახსნა, უსურვა სათათბიროს წევრებს „ღმერთი გშველიდეთო“ და წინადადება მისცა ფეხზე წამოდგომით პატივი ეცათ სათათბიროს გარდაცვლილ წევრის ლავროვის ხსოვნისათვის. სათათბიროს ყველა წევრი ფეხზე წამოდგა. თავმჯდომარე სთხოვს მდივანს ახალ შემოსული საქმეები მოახსენოს.

მილიუკოვი ადგილიდან: მე გთხოვეთ საგანგებო განცხადების შემოტანა.

თავმჯდომარე: კონსტიტუციონალ დემოკრატია ფრაქციის წარმომადგენლისაგან განცხადება შემოვიდა, რომ პატივი ვსცეთ პირველ სათათბიროს თავმჯდომარედ ნამყოფის მურომცევის ხსოვნას. მე სრულიად არ შევეხები იმას, ვისი ხსოვნის პატივისცემაც უნდათ, მაგრამ ნება მიბოძეთ ამის შესახებ ჩემი შეხედულება გამოვთქვა: თუ სრული ერთსულოვნობა არ სუფევს, მე ნება არა მაქვს პატივი ვცე ვისმეს ხსოვნას (ხმები მარჯვენით: მართალია, სწორია). თუ მიცვალებულის კუბოსთან [illegible] შეჯახებით, უმჯობესია სულ არ მივიდეთ. ამ ჟამად მე მაქვს არამც თუ ეჭვი ამ ერთსულოვნობაზე, არამედ სრულიად დარწმუნებული ვარ არაერთ-სულოვნობაში, რაიცა მტკიცდება წერილობითის საბუთებით. აი ამისათვის მე არა მაქვს ნება ეს განცხადება სახელმწიფო სათათბიროს წარუდგინო.

მილიუკოვი ადგილიდან: მესამე სათათბიროს თავის თავს სასჯელი გადაუწყვიტა.

თავმჯდომარე აჩერებს უკანა სკამებზე მსხდარ მემარჯვენეთა ტაშის კვრას. კადეტები, შრომის-ჯგუფელნი და სოციალ დემოკრატები სხდომის დარბაზს დემონსტრატიულად სტოვებენ. **მდივანი** მოახსენებს შემოსულ საქმეებს. **თავმჯდომარე** აუწყებს, რომ გუჩკოვმა თავი დაანება სათათბიროს თავმჯდომარეობას, ხოლო გოლოვინმა — სათათბიროს წევრობასო. თავმჯდომარის წინადადებით შედგენეს სხდომათა წესი-რიგი: ორშაბათსა, ოთხშაბათსა და პარასკევს — დღიური სხდომები, ოთხშაბათს საღამოს საგანგებო სხდომა შეკითხვითათვის. პრეზიდიუმის წევრთა არჩევნები 29 ოქტომბერ, საღამოთი მოხდება. ჯერ მიდგა პირველ-დაწყებით სასწავლებელთა შესახებ კანონ-პროექტის განხილვაზე. მოხსენებელმა **ფონ-ანრეპმა** მოკლედ აღნიშნა კანონ. პროექტის ისტორია და შეჩერდა იმის ძირითად დებულების გამორკვევაზე, სახელდობრ: სკოლა უნდა იყოს სახელმწიფოებრივი, სასკოლო საქმეთა განვითარება უნდა ხორციელდებოდეს ადგილობრივ დაწესებულებათა სრულის დახმარებით. ამ დებულებათაგან გამომდინარეობს საჭიროება სასკოლო საქმეთა მართვის გაერთიანებისა: პირველ-დაწყებით სკოლების მთელი მართვა-გამგეობა უნდა ხელთ-ეპყრას სამაზრო და საგუბერნიო სამოსწავლებლო საბჭოებს, რომელშიაც შევლენ ადგილობრივ დაწესებულებათა, სასულიერო უწყებისა და მთავრობის წარმომადგენელნი. განზრახულია თვითეულს სკოლასიან სამზრუნველოს დაწესება, სადაც იქნებიან სასულიერო უწყების წარმომადგენელი, სკოლის გამგე და ადგილობრივ მცხოვრებთა წარ-

---

იდუმალი ძალა

(ვუძღვნიელენე ხამსონ ჩიქოვანის ასულს).

ყოველ ხუთშაბათობით მეგობრისას ვიკრიბებოდით ხოლმე.

მასპინძელი პურ-მარილის კაცი იყო და თანაც მოუწყინარი მოამბე; ამიტომ ყველანი სიხარულით ველოდით დანიშნულ დღეს, რადგან წინ და წინვე დარწმუნებული ვიყავით, რომ შინ გულნაკლულნი არ დავრჩებოდით.

ზამთრის ერთ საღამოს, როცა გარეთ სასტიკი ზენა ქარი ზუოდა, ჩვენ ქართულ ბუხარს ვუსხედით შორი ახლო და ჩვეულებრივად ვმასლაათობდით. ბაასი სიკვდილ-სიცოცხლის ღირებულების საკითხს შეეხებოდა.

როგორც ქართველ ახალგაზდას სჩვევია, მსჯელობამ თავდავიწყებამდის მიგვიყვანა: ერთმანეთს პირში ვეცემოდით, აზრის გამოთქმასა და დამთავრებას აღარ ვაცლიდით—ვინ რას ამტკიცებდა, და ვინ რას!— ყურთა სმენა აღარ იყო.

— ბატონებო!— უეცრად გაისმა მასპინძლის ხმა, რომელიც აქამდი კუთხეში მიყუჟებულიყო და თითქოს განგებ სდუმდა.

წამს ლაპარაკი შესწყდა, ყველამ მისკენ ვიბრუნეთ პირი.

— მაგ ნაირად საკითხი არ გამირკვევა... ჩემის აზრით სიკვდილ-სიცოცხლის ამოცანა მხოლოდ იქ უნდა ვეძიოთ, სადაც ეს ორი საბედისწერო ძალა, რაღაც განგებით ერთმანეთს თავზე თავს გადააგებს ხოლმე; ადამიანის არსებობის ხანაში არის ზოგჯერ ისეთი მომენტი, როცა სიკვდილი, როგორც დამოუკიდებელი, საშიში მეტოქე სიცოცხლისა, თითქმის აღარ არსებობს, არის ისეთი სულიერი განცდა, როცა იგი, ძლეული და დამარცხებული, ილულება, მქრალდება და მით ჰკარგავს თავისს საბედისწერო სახელებას. ასეთი მომენტია—განცდა სიყვარულის გრძნობისა. აი ამ მომენტში იხსნება—თუ გნებავთ, ისპობა კიდეც—ტრაგედია ადამიანის სიცოცხლისა, რადგან სწორედ აქ სიკვდილი, როგორც ჩვენ „მეობის“ განუმეორებელი ბოლო, აღარ არსებობს; აღარ არსებობს იმიტომ, რომ სიყვარულის გრძნობის განცდა, სამარადისო ყოფნის განცდაა და მაშასადამე სრულ ქმნილი, აბსოლუტური. დიახ, მხოლოდ ამ მომენტში შეიძლება იგემოს ადამიანმა მარადისობის შესაძლებლობა და სძლიოს სიკვდილი, ე. ი. წაართვას მას საბედისწერო ძალის მნიშვნელობა, როგორც არ ყოფნის სიმბოლოს. არა?.. მე მოგახსენებთ ერთს ნამდვილ ამბავს, რომელიც უკეთ დაასურათებს ჩემ მიერ გამოთქმულ აზრს, ვიდრე ბრძნული, განყენებული მსჯელობა...

ყველა სმენათ გადავიქეცით: ვიცოდით, რომ საგულისხმოს იტყოდა.

— ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს—ჩვეულებრივ ტკბილ-შემპარავის ხმით დაიწყო მან—ნადირობიდან ვბრუნდებოდი. მთელი დღე თითქმის უნაყოფოდ ვიხეტიალეთ მე და ჩემმა ქედანამ: ერთი წყვილი გვრიტის მეტი ვერა ვინადირეთ რა. უგუნებოდ ვიყავი და ჩემს თავზეც ვწყრებოდი:

— ახირებული ხარ სწორედ, რა დროს სანადირო სიარულია ამ პანაქება სიცხეში-მეთქი!

ენა წავარდნილი ქედანა კვალ და კვალ მომდევდა, თავდახრილი, დარცხვენილი, რადგან ჩემი საყვედური მასაც ეკუთვნოდა—იგიც გრძნობდა თავისს დანაშაულს.

როცა შუა აღმართზე ამოვიარე და მთის მწვერვალს მოვექეცი, მკერდიდან სიამის მსუბუქი ოხვრა აღმომხდა: ისე დაღალული ვიყავი, რომ განძრევის ღონე აღარ მქონდა, ირგვლივ მიმოვიხედე საუცხოო მიდამო იყო.

მთის წვერო თითქოს ვიღაცას განგებ გადაეჭრა, გაევაკებია. ზღაპრულ არსთა სუფრასავით იყო გაშლილი ის პატარა, მთის ნოყიერ ბალახით ამწვანებული მინდორი, რომელსაც ერთგულ დარაჯებივით გარს შემორტყმოდნენ ას-წლოვანი რცხილა-წიფელნი.

უნებურად განუსაზღვრელ ნეტარების ერეოლამ ამიტანა; ისე წარმტაცი იყო ის უცნაური ალაგი, რომ სიცხისაგან გახურებული თოფი განზე მივაგდე და სასოებით მუხლებზე დავეცი. გაკვირვებული ქედანა თვალის ფახურითა და კუდის ოდნავ ქიცინით შემომცქეროდა: ვერ გაეგო ჩემი ახირებული ქცევა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ საიმისო არა იყო რა, თითონაც იქვე გაიშხლართა და რამდენჯერმე ლხენით გადაგორ-გადმოგორდა ბალახზე.

მზე დასავლისაკენ ეშურებოდა. მისი მიბნედილი, მოყვითლო სხივნი უკანასკნელად უამბორებდნენ მთის ლურჯ მწვერვალთ და გამოთხოვების სევდით გულ-ნატკენნი ცას ეკვროდნენ, მას ემუდარებოდნენ ნუგეშის ცემას. დასავლეთიდან დაძრული, ზღვის გრილი ნიავი მთას მოუთხრობდა ბარის ბეჩავ ცხოვრების ამბავს; დაუცხრომლად ეტიტინებოდა იგი ხავს-მოკიდებულ კლდეებ და ხეთ საკუთარ თვალით ნახულსა და მახვილ ყურით გაგონილს. მისი მუსაიფი ხან მხიარული იყო, ლხენის მომგვრელი, ვით ახალათენა-ამოდგმულ ბავშვის ჟყლორპინი, ხან კი—მწუხარე და სევდის ამშლელი, ვით დაობლებულ მჯნურის უნუგეშო მოთქმა-ტირილი. უსმენდნენ ცხოვრების მოამბეს ბერი ხეები და დასტურის ნიშნად დრო და დრო მწვერვალს მძიმეთ იხრიდნენ, თითქოს ამბობდნენ: „ვიცით, ვიცით, ძვირფასო! ადრეც გვსმენია ეგ ამბავი, მაგრამ ჩვენ აბა რა შეგვიძლია, რით განუგეშოთო“. ხოლო ცელქი სიო გულს მაინც არ იტეხდა: აქეთ მხარეს ოომ მოუთხრო თავის გულის ტკივილი, მერე გაღმა გაიპრა, იქაც გააღვიძა დასაძინებლად თავ-მიდებული მთები, ნელი ფოფინით ქოჩორი გადავარცხნა, სულ და უთქმელად ჩამოუკაკალა მათ ახალი ამბავი და, მოღლილ-მოქანცული, ქურდივით, სადღაც შორს მიუვალ კლდის ნაპრალეებში მიიმალა.

ნიავი რომ მიყუჩდა, წყვდიადმა დრო იხელთა: წამს დალამბა ნისლის მქრქალი საბანი, გასწი-გამოსწია, გასჭიმა და ლურჯად აგრუზულ მთებს ფრთხილად გადააფარა. იგრძნეს რა სითბო, იგინი სიამით შეიშმუშნენ, თავი ჩაჰკიდეს და ცოტა ხნის შემდეგ ტკბილ რუსს მიეცნენ.

დაბინდდა.

ბუნება გულჩათხრობილმა დუმილმა მოიცვა.

მხოლოდ მთის მკალი არღვევდა სიჩუმეს თავ ს ერთხმოვან ჭკრუალით.

უცხო ნეტარებამ შეიპყრო მთელი ჩემი არსება. მინდოდა მოწიწებით ხელი აღმეპყრო და სოფლიოს განგებისათვის ჰიმნი მეთქვა, სადღეასწაულო ქება ქებათა, მაგრამ დამენანა ბუნების ძილის გაფრთხობა. გულხელ დაკრეფილი მიწას განვერთხე და დავფიქრდი...

არა! კი არ დავფიქრდი—ბუნებას შევუერთდი: მესმოდა გარემოს უხმო მუსაიფი, მისი სუნთქვა, მის გულის ცემა; ყვავილ-ბალახი მიწას დაეკვდა, ერთმანეთში გადაიხლართა და განმიმზადა რბილი სარეცელი; მძლავრმა წიფელმა ბებერი ტოტები დახარა და თვისი მსუქანი ფოთოლი საბნად დამხურა.

რა მქონდა საფიქრალი?

ბუნება და მე ერთი ვიყავით, განუყრელი, შესისხლხორცებული.

ხომ გინახავთ, შვილის აკვანზე დაყრდნობილი, მკერდ-ღია დედა, პაწია რომ ძუძუში ჩაჰფრენია ფუნთუშა ხელით? ჩვილი ხარბად ეწაფება დედის ტკბილ რძეს და უმანკო ღიმალით შესკქნავის თვალებში ლხენა-მოსილ მშობელს, რას გრძნობს მაშინ ყმაწვილი?

მას ვგრძნობდი მეც.

ვხედავდი გაუტეხელი დუმილით მოცულ მთებს, უსაზღვრო მედიდურობას რომ გაუბერავს მათი გული; ვგრძნობდი თუ როგორი სისწრაფით იზრდებოდნენ მათ კალთებზე ულრანი ტყენი; მესმოდა ანკარა რუს ჩირს ყვავილთა შლა, ბალახთა წოლა-ადგომა; სულითა და ხორცით ვეხებოდი ცასა და მშობელ დედა მიწას, მცენარეთაგან ამონაქმერი სუნნელება ტვინს მითრობდა. დედა მიწის გულიდან ამონახეთქი ნოტიო სუნთქვა, მთებიდან დაძრულ ნისლთან შეზავებული, სისხლის მილებს ერთობოდა და სამარადისო გამძლეობა-ენკვდავებით მთელს ტანში მივლიდა.

იგი ძუძუ იყო, ნეტარების რძით მაზიარებელი, ია ამიტომ ვსდუმდი, არას ვფიქრობდი.

ჩემს გვერდითვე გაუნძრეველად იწვა ერთგული ქედანა. წინ-გაწვდილ ფეხებში ჩაედო ჭკვიანი თავი და უდარდელად ფშვინავდა.

ვინ იცის, რას გრძნობდა, ან რას ფიქრობდა იგი? პატრონისადმი უსაზღვრო სიყვარული და თავ განწირულება ალბად ყველაფერს სჭარბობდა მის გულში.

ძვირფასო ქედანა!

უეცრივ ჩემს ყურს უცნაური ხმა ესმა, ხმა იდუმალი, ვით შორიდან მონაქროლი ზარის რეკა.

ვიღაცამ მიხმო.

ამკარად გავიგონე ჩემი სახელი!

მყუდრო მიდამოს ეთერის ტალღებივით მოეფინა იგი წამსვე გამოხმობასავით მისუსტებული სივრცეში დაიკარგა.

ინსტინქტურად შევკრთი,

იდაყვს დავეყრდნე და გადავხედე: არავინ იყო, ფოთოლიც კი არსად ინძრეოდა!

მომდგენელი. სასწავლო ენის შესახებ კომისია იმ დასკვნას დაადგა, რომ სკოლაში სწავლება ყოველთვის რუსულს ენაზე უნდა სწარმოებდეს; მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც უმრავლესობას არა-რუსნი შეადგენენ, კომისიის აზრით სწავლება უნდა დედა-ენაზე იყოს, იმ აუცილებელის პირობით კი, რომ რუსულ ენის სწავლება პირველის წლიდანვე იწყებოდეს.

თანამომხსენებელი **კოვალევსკი** უჩვენებს, რომ კანონ-პროექტის საგანი—განსაზღვრულს ნორმებში ჩააყენოს პირველ-დწყებით სწავლების განვითარების პირობანი და მისცეს ჩარჩო სასკოლო მუშაობის ჩასაყენებლად, როცა სწავლება საყოველთაოდ იქცევა; კანონ-პროექტი ძვირფასია იმისათვის, რომ საზოგადოებისა და სახელმწიფო საერთო მუშაობაში ახალი საფუძვლნი უნდა შეიტანოს, გაადვილოს სკოლების გახსნა, გააფართოვოს კერძო თაოსნობა. კოვალევსკის იმედი აქვს, რომ სათათბიროს არ გაიტაცებს არც პარტიული არც ადგილობრივი ინტერესები და არ დაავიწყდება, რომ კანონის ობიექტი მის თანამედროვარ პირობათა მაღლა სდგას, რომ ეს ობიექტი თვით მოწაფეა. კოვალევსკი შემდეგ იხსენიებს კანტის პრინციპს, რომ ადამიანი საშუალება კი არ უნდა იყოს, არამედ მიზანი.

კომისიის მომხსენებელი მართლმადიდებელ ეკკლესიის საქმეთა შესახებ, **ლვოვი** მე 2, კრიტიკაში ატარებს კომისიის თეორიას სასკოლო საქმეთა გაერთიანების შესახებ და ამტკიცებს, რომ საეკკლესიო სკოლის არსი მდგომარეობს სწავლებაში-კი არა არამედ ეკკლესიასთან მის მჭიდრო კავშირში: რაკი ეს კავშირი დაირღვევა, მხოლოდ-ღა სახელწოდება დარჩება. კანონ-პროექტს საეკკლესიო სკოლა შეაქვს საერო განათლების სამინისტროს უწყებაში და უქემდებარებს სასწავლებლო საბჭოებს, ამითი აღნიშნულს კავშირს არღვევს. სახალხო განათლების მთელი საქმე ბოლოს და ბოლოს დამოკიდებული იქნება სასწავლებელი საბჭოს თავმჯდომარისაგან, ამასთან უზრუნველყოფილი არ არის, რომ თავმჯდომარე მართლმადიდებელი პირი იქმნეს. კანონ-პროექტი სასულიერო უწყებას ანიჭებს წარმომადგენლობას საბ-

---

— ვინა ხარ?..

ათრთოლებული ხმით წამოვიძახე და წამოვდექ.

კვლაკ დუმილი. მკვდრული სიჩუმე.

მხოლოდ მთის შავი მკალი აჭკრუალებდა თავისს ერთხმოვან, მოსაწყენ ჭელოდიას...

— ვინ უნდა ყოფილიყო?—ვფიქრობდი გრძნობა-აშლილი—სულიერი თუ იყო ვინმე, სად გაჭრა, სად წაკიდა?.. ადამიანი? ხმა რად არ გამცა, როცა გავეხმაურე?.. მხეცი იყო? ქედანა ხომ შორიდანვე აიღებდა ალღოს და შეუტევდა!..

მაშ, ვინ იყო?!.

მე ხომ ცხადად გავიგონე ჩემი სახელი!..

თუ—ჩემთვლიმა და ძილში მომესმა?

არა!.. არ მეძინა, რადგან იმ წამს გარკვევით მესმოდა ქედანას ხანდაზმითი ქშენა!..

მაშ, ვინ იყო? რა იყო?!.

კვლავ დავეშვი მიწას და ვფიქრობდი, რეტ-დასხმული, სევდა-აშლილი.

— ვის შეშურდა სიმშვიდე ჩემი სულისა?

რა ძალამ დაარღვია ქალწულებრივ ბუნების ტკბილი ძილი?..

უმთვარო ღამე იყო, მაგრამ მაინც ნათელი, მტრედის-ფერი, ისეთი, როგორიც ხშირად იცის აგვისტოს ბინდმა. ცა ვარსკვლავებით მოჭედილ. საუცხოვო სანახავი იყო მაგი ამოსვლა:

წყვილ-წყვილად და ფეხაკრეფით ჩნდებოდნენ ოგინი მიმწუხრებულ ცაზე, ვით სანახავად დაბარებული

სწავლებლო საბჭოში, ხოლო ამ წარმომადგენელს მარტო ფიქტიურს უფლებას აძლევს. ამნაირად კანონ-პროექტი ეკკლესიის უფლებათ უეჭველად არღვევს, მაშინ, როდესაც მართლ-მადიდებელ ეკკლესის რუსეთის სახელმწიფოში აქვს არა მარტო ზნეობრივი უფლებანი, რომ გორც კომისია ჰფიქრობს, არამედ ვრცელი იურიდიული უფლებანი აქვს, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ. ლვოვი იგონებს, რომ ყველა ქვეყნებში რევოლუციათა ქარიშხალის შემდეგ ყოველთვის ეკკლესიაში მიდიოდნენ და არ კი უფრთხოდნენ მას, ორატორს არ ესმის, რა საფუძვლით შეუძლიან რომელსამე დაწესებულებას იმ საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მართვა-გამგეობაში შეიჭრას, რომელიც შეადგენს საზოგადოდ საეკკლესიო მართვა-გამგეობის განუყოფელს ნაწილს, რაიცა ძირითად კანონთა პირდაპირის აზრით სრულის ავტონომიით სარგებლობს. საეკკლესიო ავტორიტეტის შერყევით არ შეიძლება წესიერების იდეალის დაცვა. ნუ თუ იმათ, რომელნიც რევოლუციის სარგებლობას ჰხედავდნენ თავის სახლ-კარის გადაბუგვაში, შეუძლიანთ იფიქრონ, რომ მართლმადიდებელ პირველდაწყებით სკოლის გადაბუგვა მორწმუნე მართლმადიდებელს გულში ნაკლებს მწუხარებას გამოიწვევს, ვიდრე სახლ-კარის გადაბუგვა? (ტაში კვრა მარჯვნითა და ცენტრში), და ბოლოს ლვოვი წინადადებას იძლევა უარჰყონ კომისიის პროექტის მე-14 მუხლი, რომელიც აწესრიგებს საეკკლესიო სკოლათა დებულებას (ხანგრძლივი ტაშის კვრა მარჯვნით და ცენტრში).

სათათბიროს საბოქაულო ნაწილი აცხადებს, რომ ყოველს კვირას, პარველს საათზე, სათათბიროს მიმღებ ოთახში მოხდება იმ პირთა ჩაწერა, რომელთაც ჰსურთ სათათბიროს სხდომას დაესწრნენ. თითო სხდომაზე უნდა ჩაეწეროს არა უმეტეს 25 კაცისა. უახლოესი ჩაწერა დანიშნულია 17 ოქტომბრისათვის.

დეპეშები

(ჟურნ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ოქტომბერი.

საზღვარ-გარედ

პარიზი. პალატაში შეტანილ შეკითხვათა განხილვა მომავალ კვირის ნახევრამდის გაგრძელდება. მთავრობა შეუძლიან იმედი ჰქონდეს 400 ხმის უმეტესობისა. მხოლოდ კენჭის ყრის შემდეგ შეუდგება იგი საჭირო ზომების განხილვას.

გაიხსნა მეექვსე კონფერენცია საერთაშორისო ჰაერში მფრენთა კავშირისა.

მადრიდი. ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ მებრძოლმა საერთაშორისო კონგრესმა სასურველად სცნო საერთაშორისო ხელშეკრულობის დადება აღნიშნულ ქალთა უკანვე სამშობლოში გმგზავნის შესახებ.

ლისსაბონი. მეეტლეთა გაფიცვა გათავდა.

ბერლინი. ათინიდან ადგილობრივ გაზეთებს აცნობებენ, პროვინციებში არეულობა ხდებაო. თესსალიის ოლქებში ხალხი ხარჯის გადახდაზე უარს ამბობს. ათონში რამდენიმე კაცი დაატუსაღეს. ათონსა და პირეიში ვოგზალებზე დარაჯების რიცხვი გააძლიერეს.

ათინა. ტეოტიკისის მომხრენი, ძალლი და მავრო მიხალისა პირობას იძლევიან, მომავალ არჩევნებზე თავისი კანდიდატებს არ წამოაყენონ.

ეს გადაწყვეტილება ოპოზიციის ლიდერებისა ყველამ მშვიდობიანად მიიღო.

რომი. ლისსაბონის ნუნციო პაპის სააუდიენციოდ მიიღო.

ბერლინი. ოსმალეთის სესხის გამო ბერლინში ავსტრიის სამ ბანკის დირექტორები მოვიდნენ. სესხის გამო სტამბოლსა და ბერლინს გახშირებული მოლაპარაკება აქვთ დეპეშებით.

კოსტანტინოპოლი. კუმანოვის მახლობელად სალონაკის გზაზე ბორო ეომმქმედნი შეეცადნენ საქონლის მატარებლის აფეთქებას. მატარებელი დროზე შეაჩერეს.

რუსეთი

პეტერბურგი. ტავრიდის სასახლის ეკატერინეს დარბაზში სახელმწიფო სათათბიროს წევრთა თანადასწრებით გადიხადეს სადღესასწაულო პარაკლისი და მრავალჟამიერი უგალობეს სამეფო გვარეულობას. პარაკლისის შემდეგ დამსწრეთა მოთხოვნით მგალობელთა გუნდმა სამჯერ შეასრულა ჰიმნი და გაისმა ხანგრძლივი „ურა“.

სერგაჩი. საერობო კრებამ ხარჯთაღრიცხვაში შეიტანა 6.000 მან. სკოლების გახსნისთვის და დაადგინა, იშუამდგომლოს ხაზინიდან ამ საგნისთვის ფულის მისაღებად ახლო მომავალში.

პსკოვი. პსკოვის სასოფლო მეურნეთა ამხანაგობის მიერ მოწყობილი ხილის გამოფენა გაიხსნა. გამოფენა 19 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

პეტერბურგი. უმთავრესმა სამხედრო სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა თხოვნები იმ განაჩენის გადაშინჯვის შესახებ, რომლითაც ბინხოვსკების ოჯახობის ამოხოცვისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს გლუსკებს და კატორაში გაგზავნა ემაკინს. განაჩენი დადგენილი იყო კიევის სამხედრო სასამართლოს მიერ. თხოვნები საქმის გადაშინჯვაზე შეტანილი იყო გლუსკერის და ემაკინისაგან.

საპყრობილეთა მთავარი სამართველო აცხადებს, რომ უკავასკნელის ცნობებით სატუსაღოებში 166.000 ტუსაღია და ამათგან სახადით მხოლოდ 30 კაცია ავად; ხოლერის მხრივ საეჭვო ავადმყოფი მხოლოდ სამია, ხოლერიანი ავადმყოფმბი სულ არ არიან.

ჩიტა. გარდაიკვალა ოთხი ავადმყოფი, რომელთა შესახებ ეჭვი დაებადა შავი ჭირით ხომ არ იყვნენ ავადო.

მოსკოვი. ავიატორმა ეფიმოვმა ხოდინსკის აეროდრომიდან გადაფრინა თავზე მოსკოვს 1000 მეტრის სიმაღლეზე და სიცივის მიზეზით შემდეგ ძირს დაეშვა.

პეტერბურგი. საგენტოს ცნობებით რომანოვების საგვარეულოს 300 წლის აღსანიშნავად გადასდეს ქალაქის საბჭოებმა: ვერხნედნეპროსკისა 25 მან., იალტისამ—100 მან; ერობებმა— პეტროზავოდსკიმ 100 მან., იარანსკისამ 500 მან. დაადგინეს აგრეთვე იშუამდგომლონ იარანსკის ვაჟთა გიმნაზიას მიეცეს სახელწოდება „რომანოვების საგვარეულოს 300 წლის სახსოვრად“.

სიზრანი. სოფელ რაჩევკაში ერობა აარსებს ქალთა სამასწავლებლო სემინარიას.

კიშინევი. სამონასტრო მამულების საქმეთა კომისიაში აირჩიეს: თავად-აზნაურობამ საგუბერნიო მარშალი თავად-აზნაურობისა კრუპენსკი და ერობამ—მიტროფან პურიშკევიჩი,

პეტერბურგი, პარაკლისის შემდეგ გაიხსნა სახელმწიფო საბჭოს მეექვსე სესია. ჩვეულებრივი სხდომები დანიშნულია ოთხშაბათობითა და პარასკევობით. შემდეგი სხდომა 20 ოქტომბერს მოხდება,

ახალი ამბები

ტფილისი

✦ **ტფ. ქალაქის ხარჯთაღრიცხვა.** როგორც ვსწერდით, უკვე დასრულდა ქალაქის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა. ვარაგუდით, 1911 წელს ქალაქს შემოსავალი ექმნება—2.238,000 მანეთი და ამდენივე ხარჯი. შემოსავლის უმთავრესი წყარო არის დასაფასებელი გადასახადი, რომელიც ნაანგარიშევია 824,000 მან. და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა გადასახადები (138,490 მან.).

✦ **სამრევლო სკოლები.** უმაღლეს მთავრობის მიერ გადადებული 53 398 მ. უკვე განაწილდა სამრევლო სკოლებს შორის. კავკავის ეპარქიის სამრევლო სკოლებს მიეცათ წელს—9,010 მ. ქართლ-კახეთისას—11,984 მან., გურია—სამეგრელოსას—13,766 მან., იმერეთისას—12.738 მან. და სოხუმისას—5.900 მან. 1911 წლისთვის დანიშნული თანახა (160,197 მან.) ასე იქმნა განაწილებული: კავკავის ეპარქიას—27.032 მან., ქართლ-კახეთისას—35.952 მან., გურია-სამეგრელოსას—41,258 მან. იმერეთისას—38,215 მან. სოხუმისას — 17,700 მან.

✦ **კავკასიის ფრინავთა წრეში.** 15 ოქტომბერს მორიგი კრება ჰქონდა კავკასიის მფრინავთა წრეს. კრებამ მოისმინა წრის მდივნის მოხსენება წრის მოქმედების შესახებ. ამ მოხსენებიდან, სხვათა შორის, სჩანს, რომ წრეს გადაუწყვეტია ტფილისში ფრენის კვირა გამართოს. ამ აზრით წრეს მიწერ-მოწერა გაუმართავს რუსეთის ცნობილ ავიატორებთან. ტფილისში ჩამოსვლის სურვილი განუცხადებია სამს ავიატორს: კებუროვსა, ვასილიევსა და ლეფონსა. ამათი ჰაეროპლანები ტფილისში უკვე მოვიდა. ავიატორებიც ამ დღეებში ჩამოვლენ. ფრენის კვირა დაახლოებით ამთვის ბოლო რიცხვებში გაიმართება.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** 15 ოქტომბერს კრება ჰქონდა სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციას. სექციამ დაადგინა, მიმართა გადაუხადოს ტფილისის ... ტანიკურ პაღის დირექტორ ... ლოვს, რომელმაც სექციის წევრ-კითხვის სკოლის მოსწავლეებს უფასოდ დაათვალიერებინა ბოტანიკური ბაღი. შემდეგ სექციამ მსჯელობა იქონია სკოლის მდგომარეობის შესახებ. სკოლაში, რომელიც ავლაბარშია, როგორც გამოირკვა, ძალიან ცოტა მოსწავლენი დაიარებიან (სულ 21 კაცი). ამის მიზეზად სკოლამ ის დაასახელა, რომ სკოლა ცუდს ადგილას არისო და დაადგინა, გადაიტანოს უფრო მარჯვე ადგილას.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ხვალ, 18 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს ხმოს ანთა მორიგი კრება მოჰხდება. საბჭოს ამ დღეს განსახილველი აქვს 20 საქმე.

✦ **თავის ჩამოხრჩობა.** 9 ოქტომბერს სოხუმში თავი ჩამოუხვჩია ადგილობრივს შეძლებულს ვაჭარს, ქალაქის საბჭოს ხმოსანს, ს. თურქიას. თავის მოკვლის ნამდვილი მიზეზები ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

✦ **ხოლერა ტფილისში.** აგერ კვირაზე მეტია, რაც ტფილისში ხოლერით ავად არავინ გამხდარა. 15 ოქტომბერს ხოლერის ნიშნებით ავად გახდა და ხოლერიანთა სამკურნალოში გაგზავნეს ოლგა ივანეს ასული ცელოვალნიკოვისა.

✦ **ა. ი. სარაჯიშვილის ლექცია.** საღამოს 7 სამთზე, ბირჟის შენობაში (შუა ბაზარი, ერევნის მოედნის მახლობლად) ა. ი. სარაჯიშვილი წაიკითხავს რუსულად მეორე ლექციას შემდეგს თემაზედ: „მსგავსება „ვეფხის ტყაოსნი“-სა შუა საუკუნეების რაინდულს რომანებთან“.

✦ **ახალი ტიპის სკოლა.** სიღნაღის მაზრის სოფელ ჭოტორში ადგილობრივ მცხოვრებთა ინიციტივით არსდება ფარდაგ-ხალიჩების საქსოვი სკოლა. სკოლაში მიიღებიან ხელობის შესასწავლად ქალები განზრახულ სკოლის საჭიროებისთვის ჭოტორის მცხოვრები ევგენი (გეგენა) კრაწაშვილი უსასყიდლოდ უთმობს თავის საკუთარ შენობას. საქმის ინიციატორებს განზრახული აქვთ, მოიწვიონ შესაფერი მასწავლებელი. ვისაც სურვილი აქვს მასწავლებლობა იკისროს, სთხოვენ თავისი პირობები აცნო-

---

მეტი გზა არ იყო. თუმცა ძლიერ განაწყენებული იყო ჩემი ქედანა, მაგრამ როცა მის გულის მოსაგებად ნელი ხმით გავეხმაურე და მივეფერე, ადამიანთა შესახებ აზრი შეეცვალა და ლაქუცით მიპასუხა: ჰო, კარგი, კარგი! თუმცა მაწყენინე, მაგრამ მაინც მიყვარხარ, შენთვის სულს არ დავიშურებ, რადგან მე მონა ვარ, შენ კი—ბატონი!!

საბრალო ქედანა!

ასეთია ფსიხოლოგია ყოველ მონისა...

მთის კალთას დავყევი ჰატარა გზა-წვრილით, რომელიც ჯოგისა და ნადირის ფეხს გაეკვერა. ფრთხილად და სინჯვით მივაბიჯებდი, რადგან ტყეში ისე ბნელოდა, რომ თვალში თითს ვერ მიიტანდი. ასწლოვან ხეებს ზღაპრულ ქოლგასავით გაეშალათ მძლავრი ტოტები, აღიაგ-ალაგ ერთმანეთს გადახვეოდნენ, ვათ გასაჭირში ერთგული მეგობარნი; მწვერვალნი მათნი ცას მიბჯენოდნენ—იქ ტყობილობდნენ ადამიანთათვის მიუწდომელ მსოფლიო განგების საიდუმლოს და ნელი შრიალით უჩურჩულებდნენ თავის ხიზანთ-ცხოველთა და ფრინველთ—რომელთაც მათ უბეში ყუდროთ ჩასძინებოდათ, არ ეძინებოდა მხოლოთ ჩერჩეტ ზარნაშოს, რომელიც ხანდაზმით გაიძახოდა თავის სევდიან „ოჰო, ჰოო“-ს. მისი გამოძახილი ეკალივით ესობოდა მყუდროებით მოცულ სმენას, თითქოს ყინმე უხილავ ძალას დაუტყვევია ულრან ტყეში და შველას თხოულობსო.

უცნობი და გაუგებარი იყო მდგომარეობა ჩემის სულისა: თითოეული ფოთლისა ... ...

ბოს სიღნაღში იოსებ კრაწაშვილს წერილით.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო მ. ნემსაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნი—კრებული ჩვენის ახალგაზრდა პოეტის ა. შანშიაშვილის ლექსებისა. წიგნს სათაურად აქვს „ბაღი სევდისა“, დაბეჭდილია მეტად სუფთად და კარგს ქაღალდზე, შეიცავს 32 გვერდს და შედარებით იაფი ღირს—10 კაპ.

◆ **ლექცია.** დღეს, 17 ოქტომბერს, შუადღისას, 12½ საათზე, სახალხო სახლში დავით ხართიშვილი წაიკითხავს ლექციას საუკუნო მანქანის (პერპეტუუმ მობილე) გამოგონების შესახებ.

◆ **„კრეჩინსკის ქორწინება“.** ღღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება „კრეჩინსკის ქორწინება“ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით და „ნაპოლეონის სიკვდილი“, ერთ მოქმედებიანი სცენა, რომელშიდაც ნაპოლეონის როლს ასრულებს კ. მესხი.

◆ 15 ოქტომბერს ბოდიცამ ტფილისში შეიბურო 26 უბესბორტო.

◆ 15 ოქტომბერს ტფილისში უცერად გარდაიცვალა იდია ალექსის ძე ზუნკელი.

◆ 15 ოქტომბერს კირზის ქუჩაზე იპოვნეს ზ ყრებში გახვეული ბავშვი, მაშრობითი სქესისა, დაახლოებით ერთის თვისა. ბავშვი ოდკას საბეჭდ ინსტიტუტში გაგზავნეს.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ

(ლ. ტოლსტოისა).

შეუყვარდა ყმაწვილ კაცს ყმაწვილი ქალი, რომელიც ძლიერ ლამაზი იყო, მაგრამ უმოწყალო უგულო. ერთხელ ქალს დაესიზმრა, რომ ის მუდამ ახალგაზდა, თვალწარმტაცის სილამაზისა იქმნება, თუ ყოველთვის თავის ახლო ექმნება სატრფოს დედის გული.

და უთხრა ქალიშვილმა ყმაწვილს:

— წადი, მოჰკალი შენი მშობელი დედა, ამოჰგლიჯე მას მკერდიდან გული და მომიტანე. ეს ჩემთვის მეტად საჭირო არის.

გაიგონა ვაჟმა ასეთი დაუჯერებელი მოთხოვნილება, გაიქცა, გაიქცა შორს, შორს...

მაგრამ მეორე დღეს ყმაწვილი დაბრუნდა თავის სატრფოსთან, და უკანასკნელმა ხელ-ახლა უთხრა:

— წადი, მოჰკალი შენი მშობელი დედა, ამოჰგლიჯე მას გული და მომიტანე რომ მე მუდამ ლამაზი და მშვენიერი ვიყო.

და დაუწყო მან ხვეწნა, კოცნა, ალერსი, თან ეჩურჩულებოდა.

— მოიქეცი აგრე, ჩემო მშვენიერო! შეასრულე ის, რასაც მე გთხოვ, დამიმტკიცე, რომ გიყვარვარ!..

ყმაწვილი მას ხელიდან გაუსხლტა და მირბოდა უანგარიშოდ, და არ იცოდა სად...

მეორე დღეს კიდევ მივიდა სატრფოსთან და უმოწყალო არ მოეშვა, კიდევ ამაზე დაუწყო ლაპარაკი.

— წადი, მოჰკალი დედა შენი და მისი გული მე მომიტანე; და მაშინ მეყვარები მუდმივ, და მაშინ მე დავრჩები მუდმივ ახალგაზდა, მშვენიერი და ბედნიერი. მოიქეცი აგრე, გეუბნები...

და თუ შენ არ გსურს შეასრულო ჩემი თხოვნა, მე შევიყვარებ სხვას და ის მომიტანს თავის დედის გულს, რადგან ვეყვარები.

უკანასკნელი სიტყვებით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ყმაწვილმა მთელი დღე სულელივით იხეტიალა და, როდესაც შეღამდა, გაცოფებული სახლისკენ გავარდა, და მოიქცა ისე, როგორც მისი სატრფო თხოულობდა...

და როდესაც ის მთელის ტანს ცახცახით ღამის წყვდიადში მიქროლავდა თავის სულიკოსაკენ და ეჭირა ხელში საკუთარი დედის გული, ამოგლეჯილი მკერდიდან, წაიფორხილა და მაგრად მიწაზე ბრეგვა გადინა.

და იმ დროს, როდესაც ის მიწიდან დგებოდა და კვნესოდა ტკივილის გამო, დედის გულმა ნაზის ხმით ჰკითხა:

— მაგრად დაეცი, ჩემო ძკირფასო შვილო? სად იტკინე, ჩემო სულის დგმავო?

ვ. კაკაბაძე.

რევოლუცია პორტუგალიაში

რესპუბლიკის აღიარება.

საფრანგეთის მთავრობამ ინგლისის წინადადებით პორტუგალიის დროებითი მთავრობა კანონიერად აღიარა. ოფიციალური აღიარება რესპუბლიკისა მოჰხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხი საერთო ხმით მიიწონებს ახალს მმართველობას.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ.

დროებითმა მთავრობამ ეროვნული კრების წევრთა საერთო არჩევნები 1911 წლამდისის დანიშნა. არჩევნებს ხელმძღვანელობას გაუწევს რევოლუციის მონწყობი კომიტეტი.

ᲔᲚᲩᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲐ.

ახალი მთავრობა ხარჯების შეამცირებლად დესპანებისა და უცხოეთში მყოფ რწმუნებულ მინისტრების თანამდებობას აუქმ ბს. მათს ადგილას ნიშნავს დიპლომატიურს აგენტებს. დათხოვნილ იქმნენ ასეთი მინისტრები ლონდონსა, პარიზსა, პეტერბურგსა, ვატიკანსა, ბერლინსა, რომსა და ვენაში.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ.

ახალ გამოცემულ დეკრეტებით, სკოლებში გაუქმებულ იქმნება სამღვთო სჯულის სწავლება და შემოიღებენ კანონმდებლობის სწავლებას. მოსწავლენი შეიძენენ ცნობებს როგორც მოქალაქობრივ უფლებათა, ისე სახელმწიფოთა წესწყობილების შესახებ.

ᲡᲐᲛᲚᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ.

მართლ-მსაჯულების მინისტრმა საგანგებო ცირკულიარი გამოსცა, რომლითაც ავალებს პროკურატურას დაუყოვნებლივ მისცეს სამართალში ის სასყლიერი პირნი, რომელნიც თავის სიტყვებში რესპუბლიკურ წყობილებას ცუდად მოიხსენებენ.

ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ.

შინაკან საქმეთა მინისტრმა ალმეიდამ შეიმუშავა პროექტი ეკლესიის განცალკევებისა სახელმწიფოსაგან. ძალით ჩამორთმეულ საკონგრეგაციო ქონებათა ნაწილი სამღვდელოების უზრუნველ საყოფლად გაიცემდება.

ᲪᲔᲜᲖᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲐ.

დროებითმა მთავრობამ სრულიად გააუქმა დეპეშების ცენზურა, რომელიც შემოღებულ იქმნა რევოლუციის დროს.

ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲕᲐ.

მთავრობის მიერ გამოცემულ დეკრეტის თანახმად, პორტუგალიის უძველეს უნივერსიტეტში, კოიმბრში, ღვთის მეტყველების ფაკულტეტი გაუქმებულ იქმნა.

ᲕᲐᲚᲘ.

ფინანსთა მინისტრის ცნობით, პორტუგალიას გარეშე სახელმწიფოების ვალი ჰქონია 41,250,000 გირვანქა სტერლინგი.

ᲖᲐᲠᲐᲤᲮᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲕᲘᲖᲘᲐ.

მთავრობამ ზარაფხანის რევიზია დანიშნა. გამოირკვა, რომ რამდენჯერმე გამოუციათ საიდუმლოდ ფინანსთა მინისტრის დაუკითხავად საკრედიტო ბილეთები დედოფლის ამელიისა და მეფის მანუელის პირად საჭიროებისთვის. როდესაც როდესაც პოლიცია ზარაფხანაში მივიდა დირექტორის ლიმას წასაყვანად სასამართლოს გამომძიებელთან, ლიმამ იქვე თავი მოიკლა.

ᲤᲠᲐᲜᲙᲝ.

ყოფილი დიქტატორი ფრანკო, რომელსაც კიდევ რამდენიმე თანამდებობა ეჭირა და დიდს ფულსაც იღებდა, ყველა თანამდებობიდან გადაყენებულ იქმნა.

ᲡᲣᲤᲠᲐᲟᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ

საფრანგეთის სუფრაჟისტთა საზოგადოებამ პორტუგალიის მთავრობას მოწოდება გაუგზავნა, რომლითაც წინადადებას აძლევს, დემოკრატიულ პრინციპებს ნუ უღალატებთ და მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ქალთაც მიეცითო.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ.

დონდონიდან მოსულ ცნობებით, შეეთებულ სამეფოსი და ახალშენთა ფედერალიზაციის საკითხების ა ირი გაძდეურდა დაიწყო დიდი მოძრაობა, რომელსაც დიდის თანაგრძნობით ეგებებიან კაზეთები და შესაფერს წერილებსა ბეჭდავენ.

ახალშენთა ბრესსა კაცხარებით ჭაბაგებს ფედერალიზაციის ჩქარა განხორციელების საკითხებს. ამერიკის ბრესსა ამტკიცებს, ირლანდიისთვის ავტონომიის მინიჭება ძალიან შეუწყობს ხელს ინგლის-ამერიკის დამეგობრებასა.

ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ.

კაზეთების ცნობით, ამ ყამად ბრიუსელი სამხედრო ბანაკს წააკავს. ოსტმოურიდია 30.000 შეტი ჯარის კაცი, რომელმაც უნდა ჩააქრონ იმპერატორ ვილჰელმის წინააღმდეგ მოსალოდნელი მანიფესტაცია. იმპრეზა დიდი მიტინგები ბრიუსტის გამოსაცხადებლად. ორატორებად გამოდიან ბრიუფსორები და დეპუტატები.

ქალაქში გაკრულია აუარებელი ბროკლამაცია მუშათა პარტიისა, რომელიც ბრიუტესტს აცხადებს იმპერატორ ვილჰელმის მოსვლის გამო. კრებები ადშეფოთებულნი არიან, ბურგომისტრებმა მუშებს ქუჩებზე ბროკლამაციების გაკვრის ნება რად მისცეს.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲘᲙᲐᲢᲔᲑᲘ.

მთავრობამ განიზრახა შესწავლოს კანონები სინდიკატების თავისუფლების შესახებ. ამის გამო კაზეთები ადშფოთებულნი არიან და ამბობენ, თუ მთავრობამ ეს ბრალექტი განახორციელა, მაშინ რესპუბლიკიდან სრულიად ამოშლის დემოკრატიის მიერ მოპოვებულ მეგედა თავისუფლებასა. ერთმა კაზეთმა ანკეტაც გამართა მთავრობის ამ განზრახვის შესახებ. უკეთ გამოჩენილი ბარდაშენტარი ამტკიცებს, რომ ეოგლად საზარალო იქნება სინდიკატების უფლებათა შეზღუდვა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

2 ᲙᲝᲡᲢᲘᲣᲛᲘ 4 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲓ

ასე იაფად, 2 მანეთად მთელი ნაჭერი 4½ არშ., გაცის სრულ სახამთრო ან სამამოდგომო კოსტიუმისთვის; მატერია „რეგორბი მეუშს-მეტად გამძლეა, პრაქტიკული და მნიშვნელი. ფერი: მაკი, მუქი ლურჯი, უჯრედებიანი ანზოლიანი. ფრი ასეთი ნაჭერი გაეგზავნებათ მხოლოდ 4 მანეთად: გაგზავნა 70 კ., ციმბირში 1 მ, 25 კ., საუკეთესო ხარისხის ნაჭერი 2. 85 კ. და 3 კ. 25 კ. ვგზავნი აგრეთვე დამზადებულს შემოდგომის ან საზამთრო შალვარს. მეკერძლ მტკიცე მატერიისაგან, „ტრიკო კაკარ“—1 მ. 25 კ.; საუკეთესო მატერიისაგან 2 მ, 25 კ; გაგზავნა ვ5 კ. და სარტყლის ჯანი. როდა სამს ან სეტს ნივთს გამოიწერენ, გაგზ ვნი ზარჯს მე ვკისრულობ. თუ არ მოიწონეთ—ფულს უკან დაგაბრუნებ.

ადრესიუ А. Кивманъ Лодзь, N—18, კორესპონდენცია რუსულად.

(Метцль. 56003 (3—22—3)

ᲔᲥᲘᲛᲘ Ე. Ლ. ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

იღებს მინაგ., ქალ., ბებ. და ხიფილ ავადმყოფებს. დღეით 9—11 ს., საღამოთი 6—7საათ. ფთხმაბათობით დარჩებიან უფასოდ იღებს. (ნ.—202)

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲐᲚ. ᲙᲐᲒᲘᲚᲘᲡᲐ ᲡᲝᲚᲝᲒᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. კოლოგვინის პროსპ. N 12, სახლი ბდივანიხა. (ე)

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

განაგრძობს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის: გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, ტექნიკურ, სამოქალაქო, საფერშლო, რკინის გზის და სასულიერო სასწავლებლებისთვის, აშზადებს ყველა ხარისხის ჩინზე. ერთდა ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. მსურველს მიიღებს მთელ ხარჯზედაც—პანსიონში, რომელნიც არ იქნებიან აცილებულნი 15 წ. სწავლა მი მონაწილეობას მიიღებს სხვა მასწავლებლებიც)

მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათ. საღ. 5—8 საათამდე. მეცადინეობა იქნება ორ აღილას: ვორონცოვის ძეგლის მახლობლად და ნახალოვკაში, ავალის ქუჩაზე, ვაგზლის პირდაპირ.

ადრესი: Авчальская ул. с. д N 133, кв. 4. (въ Нахалонкѣ противъ вокзала). (თ—152—1)

ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ
Ⴑ. Ⴐ. ᲒᲣᲙᲐᲡᲝᲕᲘᲡᲐ
პუშკინის ქუჩა, სახლი სუნდუკიანცისა, მართლმადიდებელთა ძველის სემინარიის პირდაპირ
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 395 ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 395

განუწყვეტლივ, ყოველ დღე მოგვდის ახალ-ახალი ზუთხი და თართი, ხიზილალა პარკისა, ქვირითისა და კოლოფებით. საუკეთესო დოში და ზურგიელი და აგრეთვე ყოველგვარი თევზეული.
ფასები სინდისიერია. პატივისცემით ს. ა. გუკასოვი. (40—33—13)

ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲝᲠᲐ
= აუწყებს ბ.ბ. მსყიდველებს, რომ გავხსენით შაქრის საკაჭრო =
ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲒᲘᲡᲐ
ᲨᲐᲥᲐᲠ-ᲠᲐᲤᲘᲜᲐᲓᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡᲐ
ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ტფილისი, ფრელინის ქ. სახლი № 3, ტელეფონი 567
საწყობი ველიამინის ქუჩაზე, სახლი № 12. Ⴐ. Ⴒ. ᲡᲜᲔᲭᲙᲝᲕᲘ.
(10—144—4)

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფოთლევის მრეწველობისა
ᲡᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲔᲕᲖᲗᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲘᲗ
ᲫᲛ. ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘᲡ
ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ
ᲝᲡᲔᲢᲠᲘᲜᲐ (ზუთხი) და ᲡᲔᲕᲠᲘᲣᲒᲐ (ტარანცა).
ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ ახალი, (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
ᲛᲘᲚᲘᲔᲒᲣᲚᲘᲐ ᲓᲕᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲐᲒᲣᲚᲘ (სიომგა) (Кетовая) ხიზილალა
(Кетовая) ხიზილალა
ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲤᲝᲗᲚᲘᲡᲘ
(Кетовая) ხიზილალა
(Кетовая) ხიზილალა
და ᲤᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ (Кетовая). (წ.—128—7)
ერთად-ერთი საწყობი ფოთლევის მრეწველობისა.

ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡ ᲛᲙᲘᲠᲐᲕᲘ
Ⴑ. Ⴓ. ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ
ტფილისი, ფოსტის ქ., სახლი ზუბალაშვილისა, № 6.
ამით აუწყებს თავის პატივცემულ შემკეთებლებს, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეთა ფორმის ტანისამოსისთვის რუსეთისა და საზღვარ-გარეთის განსაკუთრებით სახელ-განთქმულ ფაბრიკებისაგან შეევიძინე დიდძალი მაუდეულობა. ყველანი ტანისამოსს ჰკერენ გამოცდილი ხელოსნები
◀ ᲩᲔᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲒᲘᲗ ▶
ყველა დაკვეთილი ტანის მოკერა ეკერება უფრ ფ და კეთილ სინდ ფ ერად. (20—127—3)

ᲤᲘᲠᲛᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ 1840 ᲬᲚ.

ᲣᲛᲐᲦᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ
ᲬᲧᲐᲚᲘ
ᲙᲣᲖᲜᲔᲪᲝᲕᲘᲡ
ᲒᲣᲖᲙᲘᲜᲘᲡ ᲐᲛᲮ.-ᲡᲐ
ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ
ფირმის წლ. შემოსავალ-გასავალი 50 მილ.
იშოვება ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ
ᲒᲐᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲐᲕᲘᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲜᲐᲠᲓᲐᲓ
ტფილისის კანტორა: ველიამინოვის ქ. № 12 ტელეფონ. № 964.
(20—140—1)

ხილეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები მოსათვის
Ⴓ. ᲚᲐᲚᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲮ.
მზადდება მხოლოდ გუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ილის წვნითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.
წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.
◀ წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მედლით ▶
ქარხნები: ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე. (0—139—2)

ᲡᲐᲑᲣᲰᲜᲐᲚᲢᲔᲠᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ
ტფილისი, სანაპირო ქუჩა, ვერის ხიდთან № 19.
Ⴓ. ᲤᲝᲜ-ᲑᲠᲔᲜᲜᲔᲠᲘᲡᲐ,
(სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომ ტეტისაგან და ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებისაგან ყველა საკუთარ კურსს სასწავლებელში სახმარად მოწონებულ სახელმძღვანელოების ავტორისა)
კლასსები დაარსებულია 1890 წ. და ცნობილია სამოსწავლო მთავრობის მიერ.
კლასები ამლევენ სპეციალურ სავალმერეიო მოამზადებას ორივ სქესის პირთ, ვისაც ჰსურს მიიღოს ადგილი ბუჰალტერს, კორესპონდენტის, ანგარიშთა მწერმოების აგენტისა და სხვა.
კლასსებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) ბუჰალტერიას (ორმაგი, იტალიური) და სხვა სისტემები, საგანგებო ანგარიშების წარმოება; საანგარიშო, საფაბრიკო, საქალაქო და საერთო საბუღალტეროს, არყის მოზომვლიის, ბანერნო, სახელმწიფო საშეურნეო და სხვა სწავლება დაყენებულია პრაქტიკულად და მოსწავლენი პირველ გაკვეთილიდანვე ეჩვევიან საკუთრივ აწარმოვენ წიგნები. 2) კომ. არითმეტ.—საბანკო, საქონლისა, საგამქნელო და სხვა ანგარიშებისა. 3) კორესპონდენტიას—კომერციულ წერილების შედგენა საბუღალტეროს სწავლის, კომერციულ არითმეტიკის და საგაჯრო კანონების მიხედვით. 4) კალლიგრაფიას—ნელის გაწერებას სხვა და სხვა ხასიათის მრავფტეების მოსწავლას: 5) კანონდებას—საგიმნასიო, საერბრო სამრეწველო, საკრედიტო და სხვა წესდებათა მოსწავლას. 6) სწორ მანქანებზე წერას; მოსწავლეთა განკარგულებაში იქნებიან 10 სხვა და სხვა სისტემის მანქანა, რომლებზედაც თავისუფალ დროს მეცადინეობენ თავისი სარგებლოდ გაიკეთონ ამასთანავე ტექნიკოსის ზედამხედველობით მეცადინეობენ ტექნიკა და მანქანების მექანიზმი. 7) საქონლის ცნობას,—გაანგრძობს მოწყალეებს ადგილზედ ბაზრის უმთავრეს საქონლის ქიმიურ შედგენილობას და ამის თვისებათა გამოწერგვას. ამ მიზნისთვის კლასსებს საგანგებო კაბინეთი აქვს მოწყობილი. 8) ანგარიშის ჩოთქნა—არითმეტიკულ და ალგებრაულ ამოცანების კეთებას. განმარტებული და ამერიკული წესები, ყველა არითმეტიკული მოქმედებანი და ამოცანების კეთება მთელის კურსის განმავლობაში წარმოება მხოლოდ ჩქარა. მოსწავლეთა საერთო და საგანგებო განვითარებისათვის მოწყობილია ბიბლიოთეკა საუკეთესო სახელმძღვანელოებით სასწავლო საგნების ლიტერატურიდან. მოსწავლეებს წიგნები მინ წასაღებადაც ეძლევათ.
კლასსებში კურს დამთავრებულთ უსასყიდლოდ შეუძლიანთ იქონიონ პრაქტიკა ი. ფონ-ბრენნერის საფეხნიერ და საგაჯრო—სამრეწველო ბიურეს კანტორაში, რაც, ეშეკვლია, დიდად სასარგებლოა მოსწავლეებისათვის.
კლასები შესდგება სამის გაყოფილებისაგან: 1 განყოფილებაში მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი, 2-ში—საქალაქო ან სამეალიდ სასწავლებელში კურს დასრულებულნი. და მე-3-ში—ბუჰალტერის და კომერციულ არითმეტიკის პრაქტიკული მცოდნენი. დასაწყისი სწავლის 15 სექტ. თხოვნები მიიღება და ცნობები მიიცემა კლასსების კანცელარიაში, ტფილისში, სანაპირო ქუჩაზე, ვერის. ზედთან, საკუთარ სახლში N 19 ან სერგიევის ქუჩაზე N 4. კანცელარია ღია ყოველ-დღიდილის 9 ნ 1—ამდე და საღამოს 5—დან 8 საათამდ. ტელეფონი N 929 და 1044 (20—ბუნ—19)

Ძ. Ⴓ. ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲫᲐᲚᲗᲐ ᲬᲠᲔᲛ ᲒᲐᲜᲘᲖᲠᲐᲮᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲡᲪᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲔ.
ᲚᲔᲢᲔᲠᲘᲡᲢᲘᲡ
ᲔᲕ. ᲒᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ
ერთ ტომად, ალსანიშნავად მისის ორმოცის წლის ს-მწერლო ასპარეზზედ მოღვაწეობისა. ამისათვის ქალთა წრემ გადასწყვიტა გამართოს ხელის მოწერა ხსენებულს წიგნზედ, რომელიც იქნება დაბეჭდილი კარგს ქაღალდზედ არა ნაკლებ 400-ის გვერდისა სუ ათი, ბიოგრაფიით და კიტა აბაშიძის კრიტიკული შენიშვნებით, ელირება თითო წიგნი ხელის მოსაწერისთვის ერთი მანეთი. ხელის მოწერა მიიღება შემდეგ პირებთან: ახალციხეში კ. გვარამაძესთან, ახალსენაკში ქ. ხოფერიასთან, ბორჯომში ვ. ყიფიანთან, ბათომში გ. ჟურულთან, ბაქოში მ. თაქთაქშვილთან, სოფ. ახალქალაქში ექ. ვამაკიძესთან, გორში ექ. ელიოზიშვილთან, ზუგდიდში ბ. პატარაიასთან, ქუთაისში ი. ბაქრაძესთან, კავკავში ს. კალანდარიშვილთან, მიხაილოვში ნინო ყიფიანთან, სიღნაღში ექ. ჯანდიერთან, სოხუმში კნეინა ანჩაბაძეს, თან. თელავში ვას. კახიძესთან, ფოთში კ. გამყრელიძესთან, ყვირილაში დეკ. დ. ღამბაშიძესთან, ქიათურაში ი. დეკანოზიშვილთან-ცხინვალში ნ. მაჭავარიანთან, ხონში ეფრ. ჭიკნაძესთან, ხოლო ტფილისში ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან. (6—118—6)

სტამბა „ᲮᲘᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ“ რუსის ქუჩა № 3 რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲡᲝᲚᲝᲒᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.